18/11/2020

ქაისუბნის დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაცია

ფონდი “ქართუ”-ს დაფინანსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, 2020 წლის ივნის-აგვისტოს თვეებში დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქაისუბნის დარბაზულ ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სარესტავრაციო პროცესის მსვლელობისას, რომელიც შპს „ანდამატმა“-მა შეასრულა, მოხდა ეკლესიის ინტერიერიერში და ფასადზე მორღვეული და დაზიანებული საპირე წყობის აღდგენა ადგილობრივი ქვით,გამოქარვული ადგილები კი ამოიგოზა სპეცკირხსნარით, გათლილი ქვით მოეწყო თარო-კარნიზები,ხოლო კამარა,კონქი და თაღები კი ნატეხი ანანურის ქვით, სახურავის გაკეთებისას კრამიტის ქვედა ნაწილი შეივსო კირდუღაბის ხსნარით,რის შემდეგაც სახურავი გადაიხურა ქართული კრამიტით,ტაძრის იატაკიც ადგილობრივი ქვით მოეწყო,რაც შეეხება კარ-ფანჯარას იგი ხის მასალით გაკეთდა,ეკლესიის ირგვილ მოეწყო სარინელი.

სამშენებლო ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით განხორციელებული ფიზიკური სამუშაოები ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მონიტორინგით წარიმართა.